ოქმი:**ო08. 3725106001**

თარიღი:**16/04/2025**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 16 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14.30 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, გ. ჩავლეშვილი, თ. ტუღუში, ვ. ნიჟარაძე, გ. მდინარაძე, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის

შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის საკითხზე, ვრცლად კი ისაუბრა, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს მოძრავი ქონებები მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გადაეცეს შ.პ.ს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ -ს უსასყიდლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, 2025 დეკემბრის ჩათვლით,სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგის საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა- დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი